პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 307 (10083)

სამშაბათი, 28 დეკემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენ, ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალეროვანი ლიტერატურის წარმომადგენლები, მადლობას ვუძღვნით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ახალი მიღწევებისა და გამარჯვებებისაკენ ჩვენი ლიტერატურის განუწყვეტელ წინსვლაზე ბრძნული ზრუნვისათვის.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის შთაგონებითა და ხელმძღვანელობით, დაუცხრომლად ავითარებს მძიმე ინდუსტრიას — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველს, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას; მსოფლიო ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაშია, რომ ადამიანთა კეთილდღეობას უკვე ემსახურება ატომგულის აურაცხელი ენერგია; მოკლე ვადაში ზედიზედ იქმნება ჰიდროსადგურები ყველაზე წყალუხვ მდინარეებზე — ვოლგაზე, ობზე, ანგარაზე; მარტო ერთი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში დამუშავებულია ყამირი მიწები 17 მილიონ ჰექტარზე მეტი საერთო ფართობით, რომლებიც დიდი ხანია, ან არასოდეს არ ყოფილა მოხნული. ყოველივე ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ყველა სწავლობს, სადაც უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რიცხვმა ორ მილიონს მიაღწია.

საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებმა თავიანთი მატერიალური და სულიერი ძალების მკვეთრ აყვავებასა და აღმავლობას მიაღწიეს. ჩვენი ყრილობის ტრიბუნა იყო სიტყვის ოსტატთა ძმური თანამშრომლობის ტრიბუნა, სიტყვის ოსტატთა, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ქმნიან, მაგრამ რომლებსაც აერთიანებთ ერთიანი მიზანი — კომუნიზმის აშენებისათვის, ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლა.

ასრულდა ჩვენი გორკის სიტყვები, რომ „საბჭოთა ლიტერატორების მეორე ყრილობას დაამშვენებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრი ათეული ლიტერატორი, ლიტერატორები ჩინეთისა, ინდოეთისა...“ მთელი მსოფლიოს პროგრესულმა მწერლებმა, ჩვენმა მეგობრებმა და სტუმრებმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, კაპიტალისტური ქვეყნებიდან, მოგვიტანეს მეგობრობისა და სალამის თავიანთი სიტყვა, ჩვენთან ერთად აღმაღლეს ხმა სიცოცხლისათვის სიკვდილის წინააღმდეგ, იმ მავბნელი ძალების ხრიკების წინააღმდეგ, რომლებიც მზად არიან ომში ჩაბან ხალხები.

ხრწნადი კაპიტალისტური სამყარო ისწრაფვის ჩააგდოს კაცობრიობა სულიერი სიღატაკის, მორალური დეგრადაციის მდგომარეობაში. იმპერიალიზმის ლიტერატურა ცდილობს დაამციროს ადამიანი, აღუძრას მას ქვენა ინსტინქტები, წამალოს გორკის შთაგონებული ლოზუნგი: „ადამიანი — რა ამაყად გაისმის ეს სიტყვა!“.

ადამიანისადმი და კაცობრიობის ნათელი მომავლისადმი ურყევი რწმენით გამსჭვალულია ჩვენი ლიტერატურის ნაწარმოებები მისი წარმოშობის პირველი წლებიდანვე. ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანებისათვის მახლობელი და ძვირფასი გახდა მის გმირთა — მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლთა სახეები. ჩვენი ლიტერატურის ძალა ის არის, რომ იგი განუყრელად დაკავშირებულია ხალხის მთელ ცხოვრებასთან, მთელ ზრძნობებთან და საგმირო საქმეებთან, კომუნისტური პარტიის გმირულ ბრძოლასთან.

საბჭოთა ლიტერატურა განუყოფელია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიზნებისაგან. ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურის ისტორია სოციალისტური წყობილების განვითარების სურათია, იგი ასახავს ხალხის ბრძოლას, რომელიც აღსავსეა დიდი სიძნელეებით, ასახავს დიდ გამარჯვებებს, რომლებიც მიღწეულია სასტიკი ბრძოლით.

თავიანთ რომანებსა და მოთხრობებში, პოემებსა და პიესებში, ლექსებსა და სიმღერებში საბჭოთა მწერლები ისწრაფვიან ასახონ სინამდვილის სიმართლე მის რევოლუციურ განვითარებაში.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ახალ წესდებაში, რომელიც მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო, ჩვენ აღვნიშნეთ სოციალიზმის ლიტერატურის მაღალი დანიშნულება:

სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პირობებში განუზომლად იზრდება საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის საზოგადოებრივ-გარდამქმნელი და აღმზრდელობით-აქტიური როლი.

საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია მაღალი მხატვრული ფორმით ასახავდეს კომუნიზმის იდეების სილამაზესა და სიდიადეს, ქმედითად იბრძოდეს კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ადამიანთა შეგნებაში, თავისი გმირებით წარმოსახავდეს მათი შრომითი საქმიანობის, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებას, გაბედულად გვიჩვენებდეს ცხოვრების წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს. საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო ასახავს ახალს, არამედ ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს მის გამარჯვებას.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა მოწოდებულია მთელი რევოლუციური მგზნებარებით უნერგავდეს პატრიოტულ გრძნობებს საბჭოთა ადამიანებს, განამტკიცებდეს ხალხთა მეგობრობას, ხელს უწყობდეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომ დარაზმვას, განამტკიცებდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მშრომელთა ძმური სოლიდარობის იდეებს.

ჩვენი ახალი წესდების ეს სიტყვები გამოხატავს არა მარტო ჩვენს მისწრაფებებს, არამედ იმასაც, რასაც უკვე მიაღწია საბჭოთა სოციალისტურმა ლიტერატურამ. ჩვენი ლიტერატურის სწორედ ამ ნიშნებისათვის უყვარს იგი სახალხო მკითხველს — კომუნიზმის მშენებელს. ამ ნიშნების მეოხებით ჩვენი ლიტერატურის ბევრი წიგნი სამუდამოდ — მშვიდობის წლებში და ომის წლებში — ხდება საბჭოთა ადამიანების მეგობარი და თანამგზავრი.

ჩვენ, სსრ კავშირის მწერალთა მეორე ყრილობის დელეგატებმა, კარგად ვიცით, რომ, მიუხედავად ყველა ჩვენი მიღწევისა, ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ახორციელებს თავის მაღალ მოწოდებას. სოციალიზმის ქვეყნის სინამდვილე, რომელიც სწრაფად ვითარდება, მოითხოვს, რომ იგი წარმოისახოს მონუმენტურ ნაწარმოებებში, დიდი მხატვრული ძალის სახეებში. კარგად უნდა ვიცოდეთ და მგზნებარედ უნდა გვიყვარდეს ჩვენი გმირული პარტიის, ჩვენი ახალი საზოგადოების ისტორია. უნდა შეგვეძლოს ღრმად გავაშუქოთ ახლის ბრძოლა ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ, განვამტკიცოთ კომუნიზმის სილამაზე და სიდიადე, გაბედულად ვუჭვრეტოთ ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები. მარტო ბეჯით და უანგარო შრომას, როგორიც არის სიტყვის ნამდვილი ოსტატის შრომა, და ამასთან დიდ კულტურასა და დიდ ოსტატობას შეუძლია მიგვაახლოოს იმასთან, რომ განვახორციელოთ ჩვენი ხალხო მკითხველის სულიერი მოთხოვნილებანი და მოთხოვნები.

სოციალისტური რეალიზმი ახალი ნაბიჯია კაცობრიობის მხატვრული განვითარების ისტორიაში. ახლა ეს ესმით მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანებს, სადაც კი აღწევს საბჭოთა მწერლის სიტყვა. ჩვენი ლიტერატურის იდეებისა და სახეების გავლენა წლითიწლობით იზრდება მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ ჩაიარა ყველაზე მკაცრი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. ის მოწოდება, რომ მაღალი იდეურ-მხატვრული მომთხოვნელობა გამოვიჩინოთ, აერთიანებს სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა ეროვნების მწერლებს. მაგრამ ჩვენ ხალხისათვის უფრო ცოტა გავაკეთეთ, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ და უნდა გავაკეთოთ!

ვწეროთ ისე, რომ ახალგაზრდობამ და ბავშვებმა ამხანაგებად გაიხადონ ჩვენი ლიტერატურული გმირები, მაგალითად მიიჩნიონ ისინი! ვწეროთ ისე, რომ მკითხველი — მშრომელი მიჰყვებოდეს ჩვენს გმირს შემოქმედების სამყაროში და გონივრული და მშვენიერი ადამიანური ურთიერთობის დიდებული ახალი წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლის სამყაროში!

ვწეროთ ისე, რომ ყველაზე შორეულ ქვეყნებში ბედკრული ადამიანებისათვის ჩვენი სიტყვა ეღერდეს, როგორც მეგობრისა და მძიმის სიტყვა, რომელიც მათ ამხნევებს ძნელ ბრძოლაში, ეღერდეს, როგორც თავისუფლების ჰიმნი!

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი გულისხმობს მწერლის ინდივიდუალობის, სტილის სიმდიდრეს, სხვადასხვა შემოქმედებითი მიმდინარეობის შეჯიბრებას. საჭიროა ახალ და ახალ მხატვრულ საშუალებათა დაუცხრომელი ძიება ჩვენი იდეების დიადი სიმართლის, ჩვენი ცხოვრების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების საუკეთესოდ გამოხატვისათვის.

საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობამ, გააკრიტიკა ჩვენი ლიტერატურის სუსტი მხარეები და ნაკლოვანებანი, საბჭოთა კავშირის ყველა ლიტერატორს მოუწოდა კიდევ უფრო ღრმად განავითარონ რუსული კლასიკური ლიტერატურის, სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ლიტერატურების, აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, გაბედულად განამტკიცონ ჩვენი საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურის ჩამოყალიბებული ტრადიციები, შემოქმედებითად შეისწავლონ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების მხატვრული ოსტატობის ძვირფასი გამოცდილება.

საბჭოთა მწერლები მოვალენი არიან გადაჭრით გაუმჯობესონ ლიტერატორთა ახალი კადრების დაწინაურებისა და აღზრდის მთელი საქმე, განახორციელონ ამ მნიშვნელოვან მუშაობაში გორკის ანდერძი და ტრადიციები.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ინტელიგენციის დიდი რაზმი — ლიტერატურის მოღვაწენი, რომლებიც დარაზმული არიან კომუნისტური პარტიის გარშემო, მზად არიან ამრავლონ თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიებანი და შეასრულონ ხალხის მოთხოვნები.

საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა მნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტია ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში. მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ძირეულად გააუმჯობესონ მწერალთა კავშირის საქმიანობა, გააძლიერონ თვითკრიტიკა თავიანთ რიგებში, ბოლო მოუღონ თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის ყოველგვარ გამოვლინებას, იბრძოლონ ოსტატობისადმი მაღალი მომთხოვნელობისათვის. მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განუწყვეტელი ბრძოლა აწარმოონ სოციალისტური რეალიზმიდან ყოველგვარი გადახვევის, უცხო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და კოსმოპოლიტური იდეოლოგიის გამოვლინების, ბურჟუაზიული ნატურალიზმისა და ფორმალიზმის გავლენის წინააღმდეგ.

მშობლიურ ხალხთან, პარტიასთან ერთი ფიქრით, ერთი გრძნობით ცხოვრობენ და მუშაობენ საბჭოთა მწერლები.

ჩვენ ვიცავთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს და გვსურს ვემსახუროთ მის გამარჯვებას მთელი არსებით. ახლა მსოფლიოს ცაზე კვლავ გამოჩნდა შავი ღრუბლები. მაგრამ თუ მოხდა ბოროტება და ატყდა ახალი მსოფლიო ომი. საბჭოთა მწერლები სოციალისტურ სამშობლოს დასახმარებლად მისცემენ თავიანთ ნიჭს, თავიანთ ხელოვნებას, თავიანთ სიცოცხლეს ისევე უანგაროდ, როგორც ამას აძლევდნენ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ წარსულ ომში, რომელიც ჰიტლერული ტირანიის განადგურებით დამთავრდა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა.

დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში უცხოელი მწერლების — საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის სტუმრების პატივსაცემად

26 დეკემბერს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართა უცხოელი მწერლების — საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის სტუმრების პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი,** უცხოელი მწერლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობაში, ყრილობის დელეგატები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

დარბაზობამ გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

*მშენებელთა, არქიტექტორთა, საშენი მასალების, სამშენებლო- და საბჭო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 7 დეკემბერს**

ამხანაგებო!

ჩვენ დიდი ხანია არა გვქონია მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი და მომწიფდა დიდი საჭიროება მოგვეწყო ასეთი თათბირი. ვფიქრობ, რომ ეს თათბირი დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო მშენებლობას, არამედ მთელ ჩვენს მუშაობასაც როგორც მრეწველობაში, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში. ამ წარმატებებით ამაყობენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია, ეს წარმატებები ახარებს ჩვენს მეგობრებს საზღვარგარეთ.

საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია განხორციელდა იმის მეოხებით, რომ ჩვენი პარტია განუხრელად ახორციელებდა ლენინისა და სტალინის მითითებებს. ეს იყო ჩვენი მთავარი ამოცანა, იგი მთავარ ამოცანად რჩება მომავალშიც. ჩვენ კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ მძიმე მრეწველობა. მძიმე ინდუსტრია არის სახალხო მეურნეობის საფუძველი, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების, მისი თავდაცვისუნარიანობის წყარო, მშრომელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო. მხოლოდ იმ პირობით, თუ შემდგომ განვავითარებთ მძიმე მრეწველობას, ჩვენ შევძლებთ წარმატებით წავწიოთ წინ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, განუხრელად ვაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა და უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის საზღვრების მიუვალობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეს მთავარია. მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარება — ლითონის, ქვანახშირის, ნავთობის, ელექტროენერგიის, ქიმიური ნაწარმის წარმოების გადიდება, მძიმე მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, სამშენებლო-საწნეხო მოწყობილობის წარმოების განვითარება — აი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით აღმავლობის მძლავრი საძირკველი.

ეყრდნობიან რა მიღწევებს მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში, პარტია და მთავრობა მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას.

მიმდინარე წელს დიდი მუშაობაა გაწეული იმისათვის, რომ განხორციელდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. როგორც ცნობილია, კომუნისტურმა პარტიამ ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა მარცვლეულის წარმოების გადიდება ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით.

1954 წელი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის პირველი წელი იყო. თქვენ იცით, რომ მიმდინარე წელს უკრაინის, ვოლგისპირეთის მთელ რიგ ოლქებში და ჩვენი ქვეყნის სხვა სამხრეთ რაიონებში ამინდის განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობები იყო. გვალვის შედეგად ამ რაიონებში მარცვლეულის სერიოზული დანაკლისი გვქონდა. მაგრამ ჩვენს ქვეყანას მიმდინარე წელს კარგი სამსახური გაუწიეს ციმბირმა, განსაკუთრებით ალტაის მხარემ, ყაზახეთმა. ალტაის მხარისა და ციმბირის, ყაზახეთის რესპუბლიკის მთელი რიგი ოლქების კოლმეურნეებმა, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად იმუშავეს, დიდი საქმე გააკეთეს ჩვენი ქვეყნისათვის. სამხრეთის მთელ რიგ რაიონებში მარცვლეულის დანაკლისის მიუხედავად, ა. წ. 5 დეკემბრისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში დამზადებული იყო 271 მილიონი ფუთზე მეტი პური, ვიდრე შარშან ამავე თარიღისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობიდან, რომელიც 8 ნოემბერს გამოქვეყნდა პრესაში, თქვენ იცით ციფრები სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების შესახებ. ეს ცნობა თქვენ წაიკითხეთ და იცით, რომ 1954 წელს ჩვენ დავამზადეთ გაცილებით მეტი პური, ხორცი, რძე, ბოსტნეული, ვიდრე შარშან. მართლაც, მატება ძალიან დიდია. ზოგიერთი კითხულობს: რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის მოცულობის გადიდების მიუხედავად, მაღაზიებში მაინც ყოველთვის როდია საჭირო პროდუქტები? რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ დიდად გაიზარდა მოთხოვნილება მოხმარების საგნებზე, იმიტომ, რომ ხალხს ახლა მეტი ფული აქვს. საქონლის ფასები შემცირდა მილიარდ მანეთობით, მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. **(ტაში).**

და ამიტომ, თუმცა საქონლის წარმოება დიდად იზრდება, მოსახლეობის მოთხოვნილება მთლიანად მაინც ვერ კმაყოფილდება. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში კოლმეურნეებთან შეხვედრისას და მათთან საუბრის დროს არაერთხელ გამიგონია, რომ გამოთქვამენ სურვილს, რათა იყიდებოდეს მეტი შაქარი, ფეხსაცმელი, შალეული, და, რასაკვირველია, კარგი ხარისხისა. გაიზარდა მოთხოვნილება მაღალი ხარისხის საქონელზე. ეს იმის შედეგია, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა შექმნა პირობები მრრომელთა მუდმივი უნარის მნიშვნელოვანი ზრდისათვის. ჩვენი ამოცანაა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება. ამიტომ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, ქსოვილებისა და სხვა საქონლის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლა შემდეგშიც თანმიმდევრულად და მტკიცედ უნდა წარმოებდეს.

მარცვლეულის წარმოების გაფართოებისათვის ჩვენ ჩაყრილი გვაქვს კარგი საფუძველი. 1954 წელს დასახული იყო მოგვეხნა 13 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწები, ხოლო ფაქტიურად მოხნულია 17 მილიონ 430 ათასი ჰექტარი. ასეთი დიდი წარმატებანი ახალი მიწების ათვისების საქმეში მიღწეულია კოლმეურნეთა, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის თავდადებული შრომის მეოხებით. მთელმა ხალხმა შეიგნო, რომ საჭიროა გადაწყდეს ეს ამოცანა. **(ტაში).**

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1955 წელს დაითესება დამატებით სულ ცოტა 20 მილიონი ჰექტარი და შესაძლოა 22 მილიონი ჰექტარიც, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით. **(ტაში).**

მარცვლეულის წარმოების გადიდებით ჩვენ ვქმნით პირობებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ძლევამოსილი აღმავლობისათვის. ეს განსაკუთრებით საჭიროა მეცხოველეობის განვითარებისათვის. ჩვენთვის უმთავრესად საჭიროა საფურაჟე მარცვლეული, რადგან პურისათვის საჭირო მარცვლეული ჩვენ საკმაოდ გვაქვს. საფურაჟე მარცვლეულის რაოდენობის ზრდასთან ერთად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდება ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხისა და მატყლის წარმოება. ჩვენ მეტი მარცვლეული გვჭირდება იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში გვქონდეს პურის დიდი რეზერვები, აგრეთვე იმისათვის, რომ გავაფართოოთ პურით ვაჭრობა სხვა სახელმწიფოებთან.

იმ ღონისძიებების მიზანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, არის საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესება. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით წლითიწლობით მზარდი სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებს — ჩვენს მშენებლებს, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებს, მანქანათმშენებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობას ტექნიკით, არქიტექტორებსა და კონსტრუქტორებს და მშენებელთა მთელ ჩვენს მრავალრიცხოვან არმიას. აი რატომ გადაწყვიტეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოეწვიათ ეს თათბირი, რათა თქვენთან ერთად განგვეხილა მშენებლობის საარსებო საკითხები, გამოგვეყოვნებინა არსებული ნაკლოვანებანი, დაგვესახა კონკრეტული ღონისძიებანი მშენებლობის საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის მომწიფებული საკითხები

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში მშენებლობა მიმდინარეობს უდიდესი მასშტაბით. სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის დასახასიათებლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ მშენებლობაზე საბჭოთა სახელმწიფომ დახარჯა 900 მილიარდზე მეტი მანეთი. ამ ხნის განმავლობაში აღდგენილ იქნა, აშენდა და ამოქმედდა 8 ათასზე მეტი დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. წლითიწლობით ფართოვდება საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობა: ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და დაბებში მუშა-მოსამსახურეთათვის აგებულია საცხოვრებელი სახლები 200 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით, ხოლო სასოფლო რაიონებში — დაახლოებით 4,5 მილიონი სახლი კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციისათვის.

მიმდინარე წელს, 1946 წელთან შედარებით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა ჩვენს ქვეყანაში ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდდა. მარტო 1954 წელს კაპიტალურ სამუშაოებზე გაწეული ხარჯები უდრის ამ მიზნით მთელი მეორე ხუთწლედის მანძილზე გაწეულ მთელ ხარჯებს.

ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ ჩვენი ეკონომიკის საფუძვლების სა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

*) შემოკლებული სტენოგრამა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36 და 37 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ლელაშვილი** მიხეილ მიხეილის-ძე — პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ილურიძე** კონსტანტინე მიხეილის-ძე — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი **მეგრელიშვილი** მამია ამბერკის-ძე — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

სეხნიაშვილი ემილ ალექსის-ძე — თბილისის ქალაქის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

მრევლიშვილი თინათინ ნიკოლოზის ასული — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მასწავლებლების კოლექტივისაგან;

ჯანელიძე თამაზ ბესარიონის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან;

მოროზოვი ივანე სერგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლეონიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან;

ბერძენიშვილი ნადეჟდა შალვას ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

პლიევი აკონ ნიკოლოზის-ძე — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან;

გოგიტიძე მერი შუქრის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ენიკი შაპა სულეიმანის ასული — გუდაუთის რაიონის სოფელ მუგუძირხვის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მამედოვი ჯამალ ბალაჯა ოღლი — მარნეულის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან;

ბუჯიაშვილი ნადეჟდა ივანეს ასული — გორის რაიონის სოფელ შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ივაშჩენკო დიმიტრი ანდრიას-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ძვლივიძე.**

ქ. თბილისი. 1954 წ. 27 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

მშენებელთა, არქიტექტორთა, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 7 დეკემბერს

(გაგრძელება)

ფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობაში. წელს და მომავალი დროისთვის ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ქვანახშირის, ნავთობის, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის ახალ საწარმოთა მშენებლობა, ახალი ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა სამრეწველო საწარმოების მშენებლობა. ამასთან ერთად მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება დიდი სამშენებლო მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და მუშათა დასახებში აშენდება საცხოვრებელი სახლები 30 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით და სოფლად ადგილებში დაახლოებით 400 ათასი საცხოვრებელი სახლი.

წარმატებით რომ განვახორციელოთ ის ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე მშენებლობის დარგში, საჭიროა ყოველი ღონისძებით განვავითაროთ და სრულყოთ ჩვენი სამშენებლო ინდუსტრია. მტკიცედ უნდა აღმოვფხვრათ კუსტარულობა სამშენებლო საქმის ორგანიზაციაში.

ამჟამად ჩვენ გვაქვს საჭირო პირობები მშენებლობის ფართო ინდუსტრიალიზაციისათვის. როგორია ეს პირობები? უწინარეს ყოვლისა ჩვენში გაიზარდა კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრები. ჩვენი ქვეყნის სამშენებლო ორგანიზაციებსა და საშენ მასალათა მრეწველობაში მუშაობს თავისი საქმის მრავალი ათასი შესანიშნავი ოსტატი, წარმოების ნოვატორი. ჩვენ გვაქვს ქარხნები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მშენებლები თანამედროვე ტექნიკით, რომელიც აადვილებს შრომას და აღიდებს მის ნაყოფიერებას. შექმნილია და ფართოვდება საწარმოო ბაზა, რომელიც შესაძლებელს ხდის უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით, დეტალებითა და საშენი მასალებით.

როგორც ამ თათბირმა გვიჩვენა, მშენებლობის საქმეში, ერთგვარ წარმატებებთან ერთად, კიდევ ბევრი ნაკლიც არის. მტკიცედ უნდა გამოვამჟღავნოთ ნაკლოვანებანი და დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები მათი აღმოფხვრისათვის. ნაკლოვანებანი უნდა გამოვამჟღავნოთ გაბედულად, მწვავედ, გამოვავლინოთ კონკრეტული დამნაშავენი, იმიტომ რომ ნაკლოვანებანი თავისთავად როდი არსებობენ, მათ ესა თუ ის მუშაკები ქმნიან. კრიტიკა უსაგნო არ უნდა იყოს. საჭიროა ვაკრიტიკებდეთ იმ მუშაკებს, რომლებიც ცდილობდნენ მონოლითური ბეტონის გამოყენების გზით წაეყვანათ მშენებლები. ვფიქრობ, ეს ამხანაგები ახლა თვითონ გრძნობენ, რომ არასწორ პოზიციებს ადგნენ. ახლა უკვე, მგონი, ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენ უნდა ვიაროთ უფრო პროგრესული გზით, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენების გზით. **(ტაში).**

რას იწვევს მშენებლობაში მონოლითური ბეტონის გამოყენება? იგი გარდუვალად იწვევს ტალახს სამშენებლო მოედანზე, ყოველგვარი სახეობისა და კონსტრუქციის შეფიცვრის გამოყენებას, რკინის გადახარჯვას, ცემენტის დაქსაქსვას, ინერტული მასალებისა და ბეტონის დახაკარგს.

ხოლო რას იძლევა ასაწყობი დეტალების გამოყენება? ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება საშუალებას გვაძლევს დეტალები დავამზადოთ ისე, როგორც ეს ხდება მანქანათმშენებლობაში, საშუალებას გვაძლევს შემოვიღოთ მშენებლობის საქარხნო მეთოდები. **(ტაში).**

ასაწყობი კონსტრუქციებით მშენებლობა დიდ შესაძლებლობებს გვაძლევს სახსრების, მასალების ეკონომიის, გამომუშავების გადიდების და, მაშასადამე, მშენებელთა ხელფასის ზრდის მხრივ. მაგალითად, ფოლადის კონსტრუქციების რკინაბეტონის კონსტრუქციებით შეცვლისას ლითონის ხარჯვა ერთსართულიან სამრეწველო შენობებძი სულ ცოტა ერთიორად მცირდება. მოხოლითურ ბეტონთან შედარებით სამუშაოთა შრომატევადობა დაახლოებით ერთისამად მცირდება. საბინაო მშენებლობაში ხე-ტყის მასალების საჭიროება მცირდება 20-25 პროცენტით. გარდა ამისა, რკინაბეტონის კონსტრუქციები გაცილებით უფრო ძედეგია კოროზიის წინააღმდეგ, დიდხანს ძლებს, ცეცხლგამძლეა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია უახლოეს სამ წელიწადში ავაგოთ 402 ახალი ქარხანა და პოლიგონური ტიპის 200 მოედანი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოებისათვის. ამ სამი წლის განმავლობაში ასაწყობი რკინაბეტონის წარმოება ერთიხუთად გადიდდება, ამასთან დაკავშირებით ცემენტის წარმოება გადიდდება ერთნახევარჯერ და მეტად, ინერტული მასალების წარმოება — ერთნახევარჯერ და მეტად.

ლაპარაკობს რა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით მშენებლობის ხასიათზე, ზოგიერთი ამხანაგი კითხულობს, რა სახეობის მშენებლობას უნდა მივცეთ უპირატესობა: კარკას-პანელიან თუ უკარკასო დიდპანელიან მშენებლობას. ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით არ უნდა გამოვუტანოთ გარკვეული განაჩენი რომელიმე ამ სახეობას. საჭიროა მივცეთ განვითარების შესაძლებლობა როგორც ერთ, ისე მეორე მიმართულებას. შეიძლება ორივე მიმართულებამ გაამართლოს თავისი დანიშნულება და დარჩეს, რადგან ჩვენ ვაშენებთ სხვადასხვა დანიშნულების შენობებს და სხვადასხვა პირობებში. პრაქტიკა გვიჩვენებს ორში რომელი — კარკას-პანელიანი თუ უკარკასო დიდპანელიანი მშენებლობა აღმოჩნდება უფრო სიცოცხლისუნარიანი. თავისი უპირატესობანი აქვს როგორც ერთ, ისე მეორე ხერხს. ჩვენს თათბირზე გამოვიდნენ როგორც ერთი, ისე მეორე სახეობის მშენებლობის მომხრენი და მოწინააღმდეგენი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაამტკიცა ამა თუ იმ ხერხის მიუღებლობა.

სავსებით უდავოა, რომ საკედლე რკინაბეტონის პანელების გამოყენებით შენობების მშენებლობასთან ერთად ჩვენ ფართოდ უნდა განვავითაროთ შენობების მშენებლობა დიდი და მცირე საკედლე ბლოკებით.

დიდბლოკებიანი მშენებლობის ღირებულება აგურით მშენებლობასთან შედარებით მცირდება 12 პროცენტით, ხოლო აწყობისუნარიანობა დიდდება 38 პროცენტიდან 85 პროცენტამდე. დიდბლოკებიანი მშენებლობის დროს მკვეთრად დიდდება შრომის ნაყოფიერება. 8 საათში ორ კალატოზს ამოჰყავს 3,5 კუბური მეტრი მოცულობის აგურის კედელი. ამავე ხნის განმავლობაში ორი მემონტაჟე ამონტაჟებს დიდი ბლოკების 25 კუბური მეტრი მოცულობის კედელს.

საჭიროა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, დეტალები და დიდი ბლოკები დავნერგოთ ისე, რომ არ დაველოდოთ, სანამ დამთავრდებოდეს რკინაბეტონის ნაწარმთა ქარხნების მშენებლობა, მით უფრო, რომ საკედლე ბლოკების დამზადებისათვის არავითარი განსაკუთრებული ქარხნები არ არის საჭირო. ბლოკები შეგვიძლია დავამზადოთ სამშენებლო მოედანზე, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ბეტონის ელექტროგახურება ან ორთქლგახურება. ამისათვის არავითარი რთული მოწყობილობა არ არის საჭირო.

გადახურვის მოწყობა ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა შენობების აგებისას. კონსტრუქტორები და მშენებლები დიდ ყურადღებას უთმობენ გადახურვის ასაწყობი პანელების კონსტრუქციების შერჩევის საკითხს.

ზოგიერთი ამხანაგი მოითხოვს გამოვიყენოთ მხოლოდ ინჟინერ მაკაროვის კონსტრუქციის მრავალღრუბიანი პანელები. ამ პანელების წარმოება რთული არ არის და იგი რაც შეიძლება უფრო ფართოდ უნდა მოვაწყოთ. მაგრამ, ჩემი შეხედულებით, გადახურვის ხშირწიბოვან პანელებს მეტი უპირატესობა აქვთ. მომავალი მათ ეკუთვნის: ამ პანელების დამზადებაზე იხარჯება ნაკლები მასალა და განსაკუთრებით, რაც დიდად მნიშვნელოვანია, ნაკლები ლითონი; პანელების კონსტრუქცია უზრუნველყოფს უკეთეს ბგერაიზოლაციას, ხშირწიბოვანი პანელების ღირებულება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა კონსტრუქციების პანელებისა. უნდა ვეცადოთ დავამზადოთ რაც შეიძლება მეტი მანქანა ხშირწიბოვანი პანელების წარმოებისათვის. მაგრამ იქ, სადაც არა გვაქვს შესაძლებლობა ქარხნის პირობებში დავამზადოთ ხშირწიბოვანი პანელები, მიზანშეწონილია მოვაწყოთ მრავალღრუბიანი პანელების წარმოება. გადახურვის პანელების ფართოდ გამოყენებით ჩვენ მშენებლობებიდან განვდევნით „კუსტარებს“, რომლებიც მონოლითურ ბეტონს იყენებენ.

უნდა ითქვას აგრეთვე ნაკლოვანებებზე კიბეების მოწყობაში. ახლა ჯერ კიდევ ბევრ მშენებლობაზე მიაქვთ ქარხნებიდან ცუდად დამუშავებულ ზედაპირიანი რკინაბეტონის კიბის მარშები და ბაქნები. ამიტომ მშენებლობებზე იძულებული არიან, დადგამენ რა მარშებსა და ბაქნებს ადგილზე, დაიწყონ მათი მოპირკეთება. ასევე იქცევიან მთელ რიგ შემთხვევებში კედლებისა და გადახურვის პანელების მიმართ. ეს სწორი არ არის. რკინაბეტონის დეტალების დამუშავება სავსებით უნდა დამთავრდეს ქარხნებში. კიბის მარშები ადგილზე უნდა მიიტანონ ისე, რომ დაფაქტურებული იყოს ქვედაპირი და მოპირკეთებული იყოს მოზაიკური საფეხურები. კიბის ბაქნებსაც უნდა ჰქონდეთ დაფაქტურებული ქვედაპირი და ფილით ან მოზაიკით დაფარული ზედაპირი. მშენებლობის დროს რომ არ გაფუჭდეს, ზედაპირს უნდა დააწებონ ქაღალდი,. შემოფიცრონ.

საჭიროა ქარხანაში შესრულდეს აგრეთვე კედლებისა და გადახურვის პანელების მოპირკეთება. მშენებლობაზე ნაწარმი უნდა მიდიოდეს დამთავრებული სახით. სავსებით მზად იყოს დასადგმელად. თორემ რა უპირატესობას მოგვცემს მონტაჟი — აწყობა, თუ ასაწყობ დეტალს გავაკეთებთ ქარხანაში, დავდგამთ მე-8 სართულზე, ხოლო შემდეგ ვიფიქრებთ, თუ როგორ მივუდგეთ მას, რათა გავწმინდოთ ან დავამუშაოთ მისი ზედაპირი?

ბეტონის კონსტრუქციები მსუბუქი უნდა იყოს, ზედმეტი წონა არ უნდა ჰქონდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თხელკედლიანი, პროფილირებული ასაწყობი კონსტრუქციების დანერგვას. ასეთ კონსტრუქციებს დიდი უპირატესობა აქვთ მასიური ბეტონის კონსტრუქციებთან შედარებით. წონა მცირდება დაახლოებით 33 პროცენტით, ცემენტის ხარჯი მცირდება 20 პროცენტით, ღირებულება მცირდება 15 პროცენტით.

ის გარემოება, რომ ქარხნებში არის ვიბრატორები, სავიბრაციო მაგიდები, მექანიკური ტვიფრები და სხვა მექანიზმები, საშუალებას გვაძლევს დეტალებისა და კონსტრუქციების კეთების დროს გამოვიყენოთ ხისტი ბეტონი პლასტიკურის ნაცვლად. ხისტი ბეტონი საშუალებას იძლევა დაუყოვნებლივ მოვხსნათ შეფიცვრა და მივიღოთ მეტად მკვიდრი ნაწარმი. ხისტი ბეტონის გამოყენების ეფექტიანობა იმაშიც მდგომარეობს, რომ დიდდება წარმოების სიჩქარე ყალიბების რიცხვის შემცირების გამო, უმჯობესდება ნაწარმის ხარისხი, იზოგება ყალიბებისათვის საჭირო ლითონი და მცირდება შეფიცვრის დაშლისა და აწყობის ხარჯები. ჩვენ ყაირათიანად უნდა მივუდგეთ ამ საკითხებს. პლასტიკური ბეტონი ჯერჯერობით მხოლოდ იქ უნდა გამოვიყენოთ, სადაც არა გვაქვს ქარხნები, არ არის მოწყობილი რკინაბეტონის ნაწარმის საქარხნო წარმოება.

მშენებლობაზე ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმის ფართოდ გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ ხე-ტყისა და ლითონის გამოყენება. ამხანაგებო, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ისეთი უაღრესად ძვირფასი მასალის ჯეროვანი მოვლა და მომჭირნეობით ხარჯვა, როგორიც არის ხე-ტყე და ლითონი. ასეთი მფლანგველობის მოთმენა აღარ შეიძლება.

ბევრი ჩივის ხე-ტყე არა გვაქვსო. მართალია, ხე-ტყე არ გვყოფნის, მაგრამ ამავე დროს ბევრი ხე-ტყე იხარჯება მფლანგველურად. ავიღოთ, მაგალითად, გზათა სამინისტრო. რკინიგზებზე ხმარობენ მხოლოდ ხის შპალებს, კილომეტრების აღსანიშნავი ბოძები მხოლოდ რელსისა იდგმება. ანძები, ბოგირები, წყლის გასაშვები მილები სულ ლითონისა კეთდება. განა არ შეიძლება ყოველივე ეს რკინაბეტონისა გაკეთდეს? რატომ არ უნდა ვისწავლოთ, მაგალითად, ჩეხებისაგან, რომლებიც შესანიშნავ რკინაბეტონის შპალებს აკეთებენ და ამით ხე-ტყის მასალას ზოგავენ. წაბრძანდით მათთან და ნახეთ. ისინი ჩვენი მეგობრები არიან და ხალისით გაგვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

მე და ამხანაგებმა ბულგანინმა, მიქოიანმა და დელეგაციის სხვა წევრებმა ჩინეთში მოგზაურობის დროს ვნახეთ რკინაბეტონის ბევრი ანძა და ბოძი, რომლებიც კარგად იყო გაკეთებული. ჩვენ უნდა გადმოვიღოთ ეს სასარგებლო გამოცდილება.

შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს მთელი რიგი ქარხნები დავათვალიერეთ და ვნახეთ, რომ ბევრი მათგანი უმთავრესად აგებულია ლითონით, ასაწყობი რკინაბეტონი თითქმის სრულიად არ არის გამოყენებული. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი საამქროთა კარკასებს მთლიანად ლითონისას აკეთებს და ამტკიცებს, რომ ეს საშუალებას აძლევს მათ უფრო მალე დაამთავრონ მშენებლობა. მაგრამ ეს სწორი არ არის.

ამხანაგებო, გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო ლითონის მფლანგველურ ხარჯვას. ლითონით მხოლოდ ის უნდა ვაშენოთ, რის აშენებასაც აუცილებლობა მოითხოვს. ყველაფერი, რაც კი მშენებლობაში შეიძლება ბეტონით ან რკინაბეტონით შევცვალოთ, უნდა შევცვალოთ კიდევაც. **(ტაში).**

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის პრობლემების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით იმ საშენი მასალების წარმოების განვითარების საკითხს, რომლებიც დიდი რაოდენობით დაგვჭირდება. მე მგონია, რომ როგორც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ისე აქ დამსწრე ბევრი ჩვენგანის მიზეზით გამოწვეულია ერთი სერიოზული ნაკლი. სწორი არ არის, რომ საშენი მასალების მრეწველობის განვითარებაში ჩვენში უკანასკნელ ხანამდე მთავარი ყურადღება ექცეოდა აგურის ქარხნების მშენებლობას, მაშინ როცა ჩვენ ყოველნაირად უნდა ვავითარებდეთ ცემენტის მრეწველობას. **(ტაში).**

აგურს, როგორც ძირითად საშენ მასალას, იყენებდნენ და იყენებენ იქ, სადაც მშენებლობა უმთავრესად ხელით წარმოებს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკედლე მასალის წონასაც, აგურის წონას. ჩვენს დროში, როცა გვაქვს ბეტონი, ელექტრომოტორები, ამწეები და სხვა მექანიზმები, ძველებურად ვეღარ განვაგრძობთ მუშაობას. ყველასათვის ცნობილია, თუ რა ბევრი დრო და შრომა სჭირდება აგურის გაკეთებას. კარიერებში იღებენ თიხას, ზელენ, აყალიბებენ ალიზს, შემდეგ ალიზს აშრობენ, ღუმელში ალაგებენ, გამოწვავენ, აგური საწყობში გადაააქვთ, შემდეგ მშენებლობაზე მიაქვთ, ხარაჩოზე აქვთ, კედელი ამოჰყავთ და ყოველივე ამას აკეთებენ მრავალგზის, არჩევენ თვითეულ აგურს, როგორც მოზაიკას.

განა უმჯობესი არ იქნება აგურის ნაცვლად ვაკეთოთ ისეთი ზომის ბეტონის საკედლე ბლოკები, რომლებიც შეესაბამება არსებულ საამქრო საშუალებებს — ორი, სამი, ხუთი ტონა წონისა? ბლოკებით მშენებლობა შრომის დიდ ნაყოფიერებასა და დიდ გამომუშავებას იძლევა. შემთხვევითი როდია, რომ მთელი რიგი სხვა ქვეყნების მშენებლობაში ფართოდ იყენებენ ბეტონს და არა აგურს.

ამჟამად, როცა ჩვენს წინაშე დაისახა მშენებლობის ფართო ინდუსტრიალიზაციის ამოცანები, საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ცემენტის მრეწველობა, რათა უზრუნველყოთ ბეტონის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვიზრუნოთ აგურის გამოშვების გადიდებისათვის მოქმედ აგურის ქარხნებში არსებული რეზერვების გამოყენებით.

ჩვენს თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ნოვატორმა ამხ. დუვანოვმა. მან დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მოქმედ აგურის ქარხნებში შეიძლება გავადიდოთ აგურის წარმოება ერთნახევარ-ორჯერ. ამას შეიძლება მივაღწიოთ, თუ გამოვიყენებთ აგურის გამოწვის მოწინავე მეთოდს, რომელიც შეიმუშავა ამხ დუვანოვმა და რომელიც შემოწმებულია მთელ რიგ საწარმოთა პრაქტიკით. აგური ძირითად საკედლე მასალად რჩება, ამიტომ ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა ვაუმჯობესებდეთ მის წარმოებას მანამდე, სანამ იგი ბეტონის ნაწარმით არ შეიცვლება.

ჩვენ აგრეთვე დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ, რომ უფრო სწორად გამოვიყენოთ მშენებლობაში აგური. აქ გამოსული ამხანაგები მალცევი და შირკოვი ლაპარაკობდნენ მშენებლობებზე აგურის ტრანსპორტირების რაციონალური მეთოდების შესახებ. აგურის გადასაზიდი კონტეინერების გამოყენებამ დიდი სარგებლობა მოუტანა მშენებლობას. მაგრამ ჩვენ ახლა კიდევ უფრო შორს უნდა წავიდეთ. ნაცვლად იმისა, რომ ვეზიდებოდეთ აგურს კონტეინერებით, აგურის ქარხნებში აგურისაგან უნდა დავამზადოთ ბლოკები. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში ამას უკვე აკეთებენ.

აგრეთვე ცნობილია, რომ პირველი ცდები ამ მიმართულებით განახორციელა ინჟინერმა ამხ. რებრიკოვმა სტალინგრადის მშენებლობებზე. აგურისაგან ბლოკების დამზადება ისე უნდა მოეწყოს, რომ ბლოკების ზედაპირის მოპირკეთება ქარხანაში ხდებოდეს. ეს შესაძლებელს გახდის დავამონტაჟოთ ასაგებ შენობათა კედლები ბლოკებისაგან ისე, რომ საჭირო აღარ იყოს მათი რაიმე დამატებითი დამუშავება მშენებლობაზე.

ამხანაგებო! ინდუსტრიული მეთოდების წარმატებით დანერგვა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება ბევრად დამოკიდებულია მშენებლობის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დონეზე.

წვრილი სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით არ შეიძლება განვახორციელოთ მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, დავაჩქაროთ ტემპი და შევამციროთ სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება. ამიტომ საჭიროა გავამსხვილოთ სამშენებლო ორგანიზაციები. ამჟამად საბჭოთა კავშირში 7.500-ზე მეტი მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციაა, აქედან ერთ მესამედს აქვს სამუშაოთა წლიური მოცულობა არაუმეტეს 5 მილიონი მანეთისა. მაგალითად, ლენინგრადში არის 133 სამშენებლო ორგანიზაცია, რომლებიც სამუშაოებს ასრულებენ საიჯარო წესით, კიევში არის 107, როსტოვში — 56 ორგანიზაცია და სხვ. რამდენი წვრილი სამშენებლო ორგანიზაციაა ქარხნებში, რომლებიც სამეურნეო წესით აშენებენ? მათ ვერ დათვლი. სამშენებლო ორგანიზაციების რაოდენობა კი არ მცირდება, არამედ წლითიწლობით მატულობს.

არ შეიძლება სერიოზულად დაყენებული საკითხი მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, თუ კვლავაც გავაგრძელებთ სამშენებლო ორგანიზაციების რიცხვის. ვისთვის არ არის ცხადი, რომ წვრილ და, მაშასადამე, სუსტ სამშენებლო ორგანიზაციებს არ ძალუძთ გამოიყენონ მუშაობის ინდუსტრიული მეთოდები. ჩვენ უნდა დავადგეთ სამშენებლო ორგანიზაციების გადაჭრით განმტკიცების გზას. უამისოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება მშენებლობის რაიმე ინდუსტრიალიზაციაზე.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მოსკოვის სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილების გამოცდილება, სადაც მოსკოვის საბჭოს, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების 56 სამშენებლო ტრესტის ბაზაზე შექმნილია ერთიანი ორგანიზაცია — „გლავმოსსტროი“. როცა წარმოებდა „გლავმოსსტროის“ შექმნის საკითხის განხილვა, ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მოსკოვის საბჭო ვერ გაართმევდა თავს ასეთ დიდ ორგანიზაციას, შიშობდნენ, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა ჩაიფუშებოდა, თუ სამინისტროები თავს აარიდებდნენ ამ საქმეს. შეიძლებოდა გვეფარაუდნა, რომ „გლავმოსსტროის“ არსებობის პირველ წელს შესაძლებელია ერთგვარი ორგანიზაციული ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოიწვევენ გეგმის შეუსრულებლობას. მაგრამ ეს ყველა შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. „გლავმოსსტროის“ უფროსმა ამხ. კუჩერენკომ აქ მოგვახსენა სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილების შედეგების შესახებ და განაცხადა, რომ მოსკოველთა ვალდებულება — წელს საექსპლოატაციოდ გადასცენ 900 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი შესრულებულ იქნება და ამავე დროს შეიქმნება შარშანდელზე უფრო დიდი მარაგგანამზადი 1955 წლის მშენებლობისათვის.

ეს შედეგები ცხადყოფენ, რომ ახალმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ, შექმნა რა მშენებლობის მარაგგანამზადი — ეს მთავარია, მე ვიტყოდი, უმთავრესიც კი. **(ტაში).** ყველასათვის გასაგებია, რომ შეუძლებელია რიტმულად ვაწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები, თუ არა გვაქვს ნორმალური მარაგგანამზადი. თუ არ არის მარაგგანამზადი, კვალიფიციურ მუშებს იყენებენ არა მათი სპეციალობის მიხედვით — მიწისა და დამხმარე სამუშაოებზე. ამის შედეგად მცირდება მუშათა შრომის ნაყოფიერება, იზრდება მშენებლობის ღირებულება, ირღვევა სამუშაოთა შესრულების ვადები. თუ გვაქვს მარაგგანამზადი, შეიძლება მუშაობა ვაწარმოოთ რიტმულად, განუწყვეტლივ, გამოვიყენოთ მუშები სპეციალობის მიხედვით. სამუშაოთა ნორმალური მარაგგანამზადის შექმნა შეუძლიათ მხოლოდ მსხვილ ორგანიზაციებს.

მოსკოვის მაგალითისამებრ უნდა განვახორციელოთ სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილება ლენინგრადში, კიევსა და სხვა ქალაქებში. მაგრამ ეს მუშაობა უნდა შევასრულოთ მოფიქრებულად, გონივრულად. მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა საჭიროა იმისათვის, რომ ეს საშუალებას მოგვცემს დიდი მოცულობით განვახორციელოთ მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება, დავნერგოთ სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გავზარდოთ მშენებლობის ტემპი, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და შევამციროთ ღირებულება.

მოსკოვისა და სხვა ქალაქების გამოცდილება ადასტურებს, რომ საჭიროა სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა, სწორედ სპეციალიზებული და არა კომპლექსური ორგანიზაციებისა, რადგან მხოლოდ ასეთ ორგანიზაციებს შესწევთ უნარი დანერგონ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები. **(ტაში).**

სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციები საშუალებას იძლევიან უკეთესად მოვაწყოთ მუშათა შრომა, უფრო კვალიფიციური გავხადოთ იგი, ისინი სამუალებას იძლევიან უფრო დიდი წარმადობით გამოვიყენოთ მექანიზმები. მაგალითად, მოსკოვში შექმნილია ტრესტი „ფუნდამენტსტროი“, რომელიც აწარმოებს მშენებლობის მოედნების დაგეგმვას, აწარმოებს მიწის სამუშაოებს, ამოჰყავს საძირკვლები და სარდაფის კედლები (ბეტონის ან რკინაბეტონის დეტალებითა და ბლოკებით). არიან ტრესტები, რომლებიც ასრულებენ საერთო-სამშენებლო ხასიათის სამუშაოებს — კედლების მონტაჟს, თუ მშენებლობა ხორციელდება მსხვილი ბლოკებით ან რკინაბეტონის პანელებით, კიბეების გადახურვების მონტაჟს და სხვა სამუშაოებს. ტიხრების გაკეთებას, შენობის მოპირკეთებას ასრულებს განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც სპეციალიზებულია ამ სამუშაოებში. სანიტარულ-ტექნიკურ სამუშაოებსაც ასრულებს სპეციალიზებული ორგანიზაცია. ასეთივე ორგანიზაციები ასრულებენ ელექტროტექნიკურ, ლიფტების მოწყობილობისა და სხვა სამუშაოებს.

მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციის დროს შეიძლება მივაღწიოთ შრომის დიდ ნაყოფიერებას და სამუშაოთა ჯარგ ხარისხს. ასეთ პირობებში გაიზრდება მუშათა ხელფასიც. სადაც სპეციალიზაცია არ არის და ყველა სახეობის სამუშაოებს ერთი ტრესტი ან კანტორა ასრულებს, იქ მუშას დიდი ხელფასი არ ექნება. დღეს იგი მუშაობს კალატოზად, მღებავად, ხვალ კი — მასალის მიმტანად. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ხელფასი მაღალი არ იქნება.

სპეციალიზაცია სამშენებლო ორგანიზაციებს უფრო მოძრავს, მობილურს, მუშაობაში უფრო მოქნილსა და ოპერატიულს გახდის. ვიდრე დავიწყებდეთ ქარხნის ან საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, საჭიროა მიწისა და დაგეგმვის სამუშაოთა დარგში სპეციალიზებულმა ორგანიზაციამ დაგეგმოს მოედანი, ამოიყვანოს საძირკველი, გაიყვანოს ყველა მიწისქვეშა კომუნიკაცია. ამ დროს კი მეორე სპეციალიზებული ორგანიზაცია უნდა მოემზადოს ასაწყობი კონსტრუქციებისაგან შენობის აწყობა-დამონტაჟებისათვის. ასეთი ორგანიზაციის დროს სამუშაოები შეიძლება ვაწარმოოთ შეთავსებული გრაფიკით: ავაწყოთ შენობის კონსტრუქციები და ამავე დროს შევასრულოთ ტექნოლოგიური მოწყობილობის დამონტაჟება იმ შემთხვევაში, თუ შენდება ქარხანა. ჩვენ მშენებლობის ასეთი ორგანიზაციის მრავალი მაგალითი გვქონდა ომის დროსაც და ომისშემდგომ პერიოდშიც.

ცხადია, რომ სპეციალიზებულ ორგანიზაციას არ შეუძლია მუდამ ერთ ადგილას იყოს: დაანთავირებს რა თავის საქმეს, იგი მოვალეა გადავიდეს სხვა ობიექტზე. ყველაზე სწორ გადაწყვეტად უნდა ჩაითვალოს სპეციალიზებული ტერიტორიული სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტისათვის ჩვენში ჯერ კიდევ ყველგან არ მომწიფებულა პირობები. ამიტომ დროებით მოგვიხდება შევქმნათ სპეციალიზებული ორგანიზაციები სამინისტროებში.

ჩვენი ქვეყანა დიდი მოცულობით ახორციელებს საბრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობას. ამ მშენებლობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ვალია მკვეთრად გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპი, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და შევამციროთ ღირებულება. ამ ამოცანის გადაწყვეტად არსებობს მხოლოდ ერთი გზა — მშენებლობის უაღრესად ფართო ინდუსტრიალიზაციის გზა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

მეფოლადე აგიტატორი

აგიტატორის მუშაობის გამოცდილებიდან

რაც ძალაც სძინავს...

ყველას შეუძლია გახდეს მოწინავე

იამება. თორმეტჯერ რეკავს კრემლის ქურანტები. ეთერში გაისმის სახელთა ჰავშირის დიდებული ჰიმნი.

მეტალურგიულ ქარხანაში წუთითაც არ წყდება შემოქმედებითი შრომა. შორიდანვე მოსჩანს ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული სახელმძღვანელო ღუმელი, რომლის ფანჯრიდან ვეებერთელა ცეცხლვებში ნაპერწკალთა ჩანჩქერთან ერთად გადმოდის გამდნარი თუჯის ღვართქაფი. ორთქლმავალს ესტაკადაზე ქვეით მიაქვს ჯაზით დატვირთული გრძელი ეშელონი მარტენის ღუმელებისათვის. გაუწყვეტლივ ხმაურობენ საგლინავ დანადგართა კონვეიერები...

ქალაქ რუსთავში კი ამ დროს სძინავთ. მაგრამ განა ყველას?

საკმარისია ცენტრალური პროსპექტიდან კონსტიტუციის ქუჩის მიმართულებით მრავალსართულიანი შენობის მაღალი თაღისაკენ გაიხედოთ, რომ ხელმარცხნივ ლამაზი პატარა სახლი შენიშნოთ. ამ სახლის ზემო სართულში ხშირად გვიანამდე არ ქრება სინათლე. აქ ცხოვრობს მეფოლადე ზურაბ კვახაძე.

აი იგი მისჯდომია საწერ მაგიდას, გადაუშლია დიდი სახელთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული და შთაგონებით წარმოთქვამს უკვდავ სტრიქონებს:

...და რადიუმის რომ იპოვო ნამცეცი ხრეში,
წელიწადების შრომას ითხოვს
ეს მცირე წონა.
ასევე სიტყვა
შესაფერი
რომ იგდო ხელში,
სიტყვიერ მადნის
იხარჯება
ათასი ტონა“.

— მართლაც რა შესანიშნავად უთქვამს პოეტს! — ფიქრობს ზურაბი. — ამ სტროფის დედააზრის ჩაწვდომა და მისი პრაქტიკულად გამოყენება სარგებლობას მოუტანს არა მარტო მწერლებს, მხატვრული სიტყვის ოსტატებს, არამედ ყველა პროფესიის სახელთა ადამიანსაც, რადგან მისი შრომაც შემოქმედებაა, ახლის დაუსრულებელი ძიებაა, უკეთესისაკენ შეუნელებელი მისწრაფებაა.

თვითონ მას ვინ მოთვლის რამდენი გარჯა და ძიება დასჭირდა, სანამ ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატი გახდებოდა.

ბევრი კითხვა, მასალების, ფაქტების ძებნა, მუყაითი ბუშაობა უხდებოდა ზურაბს მაშინაც, როცა ცდილობს შეარჩიოს შესაფერი სიტყვა, რომ, როგორც აგიტატორმა, ცოცხალი, მართალი, გულში ჩამწვდომი საუბარი მოამზადოს.

ზურაბ კვახაძე მარტენის ღუმელთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეტალურგთა მეგობარლა

ორ წელზე მეტია ზურაბი აგიტატორად მუშაობს. პირველ ხანებში ძმეწელებს მხოლოდ გაზეთს უკითხავდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს საკმარისი არ იყო. მიხვდა, რომ მხოლოდ კონკრეტული, მიზანდასახული, ცოცხალი, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული საუბრით შეიძლება საჭირო ზემოქმედება მოახდინო მსმენელებზე, აღაფრთოვანო და დარაზმო ისინი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის სახრძოლველად.

...ერთხელ ხალხთა მეგობრობის თემაზე საagიტაციო საუბარი ზურაბმა იმით დაიწყო, რომ ჯიბიდან ამოიღო სათუთად შენახული, ოთხად დაკეცილი პატარა ბარათი და გარს შემოკრებილ მეფოლადეებს წაუკითხა:

„შვილო ზურაბ, კარგად იცი, არაფერი დამიშურებია იმისათვის, რომ შენთვის ფოლადის დნობის საიდუმლოება ჩესწავლებინა. მე მოწაფე ბევრი მყოლია, მაგრამ შენზე განსაკუთრებულ იმედს ვამყარებ. თუ რაიმე გიჭირს, ნუ მომერიდები, შემატყობინე. მე აქედანაც დაგეხმარები, რათა მაღალნაყოფიერ შრომით რუსთავშიც მასახელო...“

— ეს სიტყვები ჯუთინის დნეპროძერჟინსკელ მეტალურგს ივანე აბესონოვს, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა მარტენის ღუმელთან.

შემდეგ ზურაბმა მსმენელებს დაუსახელა რუს, უკრაინელ, აზერბაიჯანელ და სომეხ მეტალურგებთან რუსთავის მეფოლადეთა მეგობრობის მრავალი მაგალითი, უამბო, თუ როგორ მეგობრობენ შალვა ჯუხალეიშვილი და სუმგაიტელი მ. ზეინალოვი, შალვა ბაინდურაშვილი და ზაპოროჟიელი ნ. პომიატუნი...

შრომა სახელისა და დიდების საქმეა

სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ დილის ცვლის მეფოლადეები წითელ კუთხეში შეიკრიბნენ. ამჯერად ზურაბ კვახაძე მათ ესაუბრა თემაზე — „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება“.

— ამხანაგებო! — დაიწყო აგიტატორმა, — დიდი ლენინი გვასწავლის, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების თავდადებული ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. სახელთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ახალი, კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, ვინაიდან შრომა ჩვენში ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმეა. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ურთიერთდახმარება, ჩამორჩენილთა წამოწევა.

რუსთავის მეფოლადეები კარგა ხანია სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი მოძმე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მეტალურგებთან. ამ შეჯიბრების მიზანი მარტო ის როდია, რომ ერთმანეთს გეგმის შესრულებაში ვაჯობოთ. თქვენც კარგად გახსოვთ, მაღდინარე წლის მეორე კვარტალში თუჯი რომ შემოგვაკლდა და გეგმის შეუსრულებლობის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით.

— ჩვენ დაგეხმარებით, — შეგვატყობინეს სუმგაიტელებმა და მალე დაპირებას თან მოაყოლეს ათასობით ტონა თუჯი. ამის შედეგი ის იყო, რომ ჩვენმა საამქრომ თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ამ რამდენიმე დღის წინათ შევიტყვეთ, რომ სუმგაიტის მილსაგლინავი ქარხნის ერთ-ერთ დამხმარე საამქროს სამსხმელო თუჯი დააკლდა. ჩვენმა მებრძმედეებმა დაუყოვნებლივ გაუგზავნეს მეგობრებს ათასი ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელია ერთმანეთის დახმარება, საერთო წარმატებისათვის ზრუნვა, შეუნელებელი წინსვლა, ახალ-ახალი მიღწევების მოპოვება.

ყველას შეუძლია გახდეს მოწინავე

სამი წლის წინათ ფოლადის 10-ასათიანი ნადნობი ჩქაროსნულად ითვლებოდა, — განაგრძო აგიტატორმა. — დღეს კი მეფოლადე 9-საათიანსაც არ უწოდებს ჩქაროსნულს. ამა წლის პირველ ნახევარში ჩქაროსნული დნობის რეკორდად 7 საათი და 15 წუთი ითვლებოდა. ცოტა ხნის წინათ დნობის ხანგრძლივობა კიდევ ერთი საათით შემცირდა. ამჟამად ესეც არ გვაკმაყოფილებს და 6-საათიანი ნადნობის მიღებისათვის ვიბრძვით.

მარტენის საამქროს ბევრი ნოვატორი საამაყო მაჩვენებლებს აღწევს ძიდასაწარმოო რეზერვების გამოყენებისა და შრომის ორგანიზაციის გადიდების საშუალებით. მეფოლადე ვ. ბაირაკოვს ყველაზე ჯარგად ეხერხება ღუმელის გაწყობა, ი. მეტრეველს — ღუმელში ქაზნის ჩატვირთვა, ა. ფანცულაიას — ქაზნის გადნობა, ა. ზარიძეს — ნადნობის სწრაფად გაშვება. საამქროს ხელმძღვანელები მეტად სასარგებლო საქმეს გააკეთებენ, თუ ამ მოწინავეთა გამოცდილებას დაჯგუფებით შეისწავლიან და ყველა მეფოლადის კუთვნილებად აქცევენ.

— ეს მართლაც საინტერესო საკითხია, — შენიშნა ზურაბ კვახაძემ. — ამის შესახებ აუცილებლად მოველაპარაკები პარტბიუროს მდივანს.

ამხანაგებო! სანამ შეფოლადეთა გვერდით, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყავს ისეთებიც, რომლებიც შრომისადმი არაკომუნისტურ დამოკიდებულებას იჩენენ, უყაირათოდ მუშაობენ, სრული დატვირთვით არ იყენებენ მოწყობილობას, არღვევენ ტექნოლოგიურ და შრომის დისციპლინას, მომჭირნეობით არ ხარჯავენ ნედლეულს. მაგალითად, მეფოლადე ქ. ქველიშვილმა მარტო ორ თვეში საშუალო გადაწვა ღუმელის თაღი. ღუმელების გაჩერებამ ლ. ქებაძემ კი უმიზეზოდ მიატოვა სამუშაო. მსგავსი ფაქტები ერთეული როდია. ამის შედეგიც არის, რომ საამქროში შრომის ნაყოფიერების ზრდის საერთო მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია.

პირადი მაგალითის ძალა

ზურაბმა ისე დაამთავრა საუბარი, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს თავის თავზე. მაგრამ საამქროს მეფოლადეებმა კარგად იციან, რომ აგიტატორის მთელი საქმიანობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუშია.

ნოემბერში ზ. კვახაძემ ყველა მეფოლადეზე მეტი ჩქაროსნული ნადნობი მიიღო და ამის შედეგად სამ სამუშაო დღეზე მეტი დრო დაზოგა. მარტო დეკემბრის ოც დღეში კი მისმა ბრიგადამ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 150 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ფოლადი.

ზურაბი მაღალნაყოფიერ შრომას კარგად ათავსებს სწავლასთან. იგი საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია. ამ ცოტა ხნის წინათ საამქროს კომუნისტებმა იგი ერთხმად აირჩიეს ცვლის პარტორგუფორგად.

მეფოლადეებს სჯერათ აგიტატორის სიტყვა და მაგალითად აქვთ მისი პატრიოტული საქმეები.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

ყრილობის 23 დეკემბრის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა **ი. რუგოევი.** სიტყვა ეძლევა **ს. ანტონოვს.** იგი აცხადებს, რომ მცირეწლოვან დიდ მომთხოვნელობას იჩენს ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებისადმი. ესთეტიკური აღზრდის საქმეში, ხაზგასმით აღნიშნავს მწერალი, დიდია როლი კრიტიკისა, რომელიც ხელოვნების ნაწარმოების შეფასებას უნდა მიუდგეს როგორც იდეურობის პოზიციებიდან, ისე მაღალი მხატვრულობის პოზიციებიდან.

იაკუტმა მწერალმა **გ. პროტოდიაკონოვმა** თქვა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ზოდასთან ერთად ვითარდებოდა მისი ლიტერატურა, რაც შეესაბამებოდა მოწოდებს იმას, თუ რა უდიდეს შემოქმედებითს ძალებს ქმნის საბჭოთა წყობილება. იაკუტიის ლიტერატორთა შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია მთარგმნელობითს საქმიანობას. ორატორი შეეხო გადაუჭრელ საკითხებს და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ლიტერატორება ნაკლებად ქმნიან წიგნებს მუშათა კლასზე, კოლმეურნე გლეხობასა და ინტელიგენციაზე.

კ. ფედინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურის მაორგანიზებელი როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, სწრაფად იზრდება ადამიანის შეგნებაზე მისი ზემოქმედების ძალა. ჩვენ მოვალენი ვართ გავაძლიეროთ მომთხოვნელობა მწერლისადმი და უწინარეს ყოვლისა მივაღწიოთ ჩვენს ნაწარმოებებში ფორმისა და შინაარსის ორგანულ ერთიანობას. ჩვენ, თქვა მან, ამოცანად ვისახავთ, რომ ჩვენი წიგნები საბჭოთა ხალხების ბმა იყოს. ამიტომ ჩვენი მთავარი თემებია კომუნიზმის მშენებელი სოციალისტური საზოგადოების მშვიდობიანი შეჭრა, შრომა და კულტურა, ხალხთა მეგობრობა, საშშობლოს უშიშროება და დაცვა.

საღამოს სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა **ა. ფადეევმა,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, ყველაზე სრული ფორმით განხორციელდა ნამდვილად თავისუფალი, ხალხთან პირდაპირ დაკავშირებული ლიტერატურის ლენინური პრინციპი. ჩვენმა ლიტერატურამ უკვე შექმნა და ქმნის წარუვალ მხატვრულ ღირებულებებს, რომლებიც შეიძლება ახალ ნაბიჯად მივიჩნიოთ კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

ა. ფადეევს მოჰყავს კომპრესისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების სიტყვები, სადაც ნათქვამია, რომ მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ „შეიქმნა მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებითაც მართლაც აისახა სოციალიზმის მშენებლობის პათოსი, საბჭოთა პატრიოტების უმაგალითო გმირობა დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში, ჩვენი ხალხის შრომითი გმირობა მეტურნეობის ომისშემდგომი აღდგენისათვის ბრძოლაში“. მეორე მხრივ, ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში აღნიშნულია რომ „ჩვენი ლიტერატურა ვერ რამეში ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრებას, რომელიც სწრაფად ვითარდება, პოლიტიკურად და კულტურულად გაზრდილი მკითხველის მოთხოვნილებებს“.

საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობა, თქვა შემდეგ ა. ფადეევმა, განსაკუთრებული მოღვაწეა როდია, რომელიც ახასიათებს მარტო პარტიის წევრ მწერლებს და საერთოდ ზოგიერთებს. ეს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიული თვისებაა. ჩვენში ჩამოყალიბდა და სულ უფრო ყალიბდება კომუნიზმისათვის შეგნებული მებრძოლი მწერლის ახალი ტიპი. ჩვენ, საბჭოთა მწერლები, პარტიას მივაჩნიოთ ჰუმანიზმის დიადი იდეებისათვის, იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლებად, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლებად. პარტია გვეუბნება, თუ რა სულიერი ძალა შეიძლება გახდეს ჩვენი ლიტერატურა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლაში, მოგვაგონებს, თუ რა განუზომლად გაძლიერდა საბჭოთა ლიტერატურის საზოგადოებრივად გარდამქმნელი და აღმზრდელობითი როლი, მოგვაგონებს, რომ ჩვენი ლიტერატურა არა მარტო უნდა ასახავდეს ახალს, არამედ ყოველი ღონისძიებითაც ეხმარებოდეს მის გამარჯვებას. ჩვენი ლიტერატურის მრავალი ნაკლი ნამდვილად იმით არის გამოწვეული, რომ ბევრი მწერალი ცუდად იცნობს ცხოვრებას, მოწყვეტილია მას, ან ცხოვრებას სწავლობს ინერტულად. ჩვენ კი ცხოვრებას უნდა ვეხედავდეთ კომუნიზმისათვის მებრძოლთა თვალით.

მსოფლიო მხატვრული შემოქმედების მწვერვალზე რომ ავიდეთ, ამბობს შემდეგ ა. ფადეევი, ბევრი უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ ყველაფერი. მე კიდევ და კიდევ მინდა ვთქვა, რომ საბჭოთა მწერლისათვის საუკეთესო მხატვრული სკოლაა ჩვენი დიდი კლასიკური მემკვიდრეობა — რუსული ლიტერატურა, ჩვენი მომძე ხალხების ლიტერატურა, მთელი მსოფლიო ლიტერატურა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე **მ. პეტროვმა** (უდმურტეთი) და **ნ. გრიბაჩოვმა.**

ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს გამოჩენილმა პროგრესულმა მწერლებმა და მშვიდობისათვის მებრძოლებმა **ჟ. ამადუმ** (ბრაზილია) და **ლ. არაგონმა** (საფრანგეთი), რომლებსაც დამსწრეები გულთბილად შეხვდნენ.

24 დეკემბრის დილის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა **ნ. ზარიანის** თავმჯდომარეობით, მოსმენილ იქნა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სარევიზიო კომისიის მოხსენება. მოხსენება გააკეთა **ი. ლიბედინსკიმ.**

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს **მ. დუდინს** წერილებისა და დეპეშების ნაწილის წასაკითხად, რომლებიც დიდ რაოდენობით მოდის ყრილობის სახელზე საშშობლოს ყველა კუთხიდან. ეს წერილები და დეპეშები იმ უცილობელი ჰეგემონიტეტის ცოცხალი ილუსტრაციაა, რომ კაცობრიობის იხტორიის მთელ მანძილზე ლიტერატურას ჯერ კიდევ არასოდეს არ ჰყოლია კეთილისმსურველი და გულისხმიერი მკითხველთა ისეთი ფართო წრე, როგორიც ჰყავს ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას.

...გრძელდება კამათი მოსმენილ მოხსენებათა და თანამოხსენებათა გამო.

მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა **ი. ანისიმოვმა** ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ. დიდი კმაყოფილებით, თქვა მან, ეფრძნობთ, რომ საბჭოთა ლიტერატურის დიდი ისტორიული გამოცდილება ეხმარება ლიტერატურებს საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელთა ფართო მასების შეგნებაში და ოლქების მწერალთა ორგანიზაციებს, აშბობს იგი, ხელმძღვანელობდეს არა მარტო რუსული ლიტერატურის კომისია, არამედ მწერალთა კავშირის სამდივნო და პრეზიდიუმიც.

სიტყვა ეძლევა გაზეთ „პრავდის“ მთავარ რედაქტორს ამხ. **დ. ტ. შეპილოვს.** მსოფლიოში გაჩაღდა დიდი ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის, აშბობს ამხ. შეპილოვი. თანამედროვე კაპიტალიზმის კატასტროფულობის ატომურ იდეოლოგიას უპირისპირდება მშვიდობისა და დემოკრატიის, სოციალისტური ჰუმანიზმის იდეოლოგია.

მოიყვანა რა მრავალი მკაფიო მაგალითი, რომლებიც მოწმობენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო ზრდას, ამხ. შეპილოვმა ილაპარაკა მწერლების საპატიო როლზე ჩვენი ხალხის დიდ შემოქმედებითს მუშაობაში.

ლიტერატორებმა უნდა განაგრძონ და შემდგომ განავითარონ პერიოდულ პრესაში — გაზეთებსა და ჟურნალებში ჯეტიური მონაწილეობის კარგი ტრადიცია, უმეტესად მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტის ჩვენს შესანიშნავ გმირებს.

მწერლის იდეური სიმწიფე, მისი ნიჭის ძალა ყველაზე მკაფიოდ მეღვიძდება განმოგადების ხელოვნებაში, იმის უნარში, რომ სინამდვილის მთელი მრავალფეროვნებიდან ამოიჩიოს ის, რაც ყველაზე არსებითი და გადამწყვეტია სინამდვილის რევოლუციური განვითარების წამყვანი ტენდენციების დასახასიათებლად. უამისოდ შემოქმედება უხეირხმლო, ემპირიულია, იგი იქცევა ყოფაცხოვრების ნატურალისტურ აღწერილობად და ვერ გვიჩვენებს იმ დიდი საქმეების იდეურ აზრს, რომლებსაც ჩვენი ხალხი ახორციელებს.

დასასრულ ამბ. შეპილოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მტრისა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან გადახვევის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლენებთა წინააღმდეგ.

სიტყვას ამბობს კომპოზიტორი **ტ. ხრენიკოვი.** იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მწერალთა ყრილობის მუშაობის გამოცდილება დიდად საგულისხმოა კომპოზიტორებისთვისაც. ორატორი მთავარ ყურადღებას აქცევს სასიმღერო შემოქმედების განვითარების პრობლემას და აღნიშნავს ამ ჟანრის ჩამორჩენას.

სახავშვო ლიტერატურის განვითარების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა **ა. ბარტომ.**

მცირე თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **კ. ზუბოვმა** ილაპარაკა იმ დიდი ყურადღების შესახებ, რომელსაც კომუნისტური პარტია აქცევდა საბჭოთა ლიტერატურას მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ვამაყობთ იმ მიღწევებით, რაც აქვს ჩვენს დრამატურგიას, რომლის ფუძემდებლები იყვნენ მ. გორკი და ვ. მაიაკოვსკი. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს დრამატურგებისა და თეატრის მუშაკების კრეატიული პასუხისმგებლობას რეპერტუარის ხარისხისათვის, მთელი თეატრალური ხელოვნების მდგომარეობისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვა კ. ზუბოვმა, რომ საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა ძლავრი სტიმული გახდება მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ახალი აყვავებისათვის.

დრამატურგიისა და კინოდრამატურგიის განვითარების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები **ვ. ვალერშიანმა** და **მ. პავლოვმ.**

ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების მწერალთა წარმომადგენლების სიტყვებს. სალამოს სხდომაზე გამოვიდნენ **სხიდ ნაფისი** (ირანი), **იაროსლავ ივაშკევიჩი** (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა), **მარინ ფრანიჩევიჩი** (იუგოსლავია), **ალფრედო გრავინა** (ურუგვაი), **მავახიბ ალ-კაიალი** (სირია). წაიკითხეს ცნობილი თურქი პოეტის, მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის **ნაზიმ ჰიქმეთის,** იტალიის პროგრესული ჟურნალის „კონტემპორანეოს“ რედაქტორის, ავრეთვე ესპანელი მწერლის **ხუან რეხანოს** წერილები.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სულ ყრილობაზე გამოვიდა 146 კაცი. შემოსულია წინადადება შეწყდეს კამათი. ეს წინადადება მიიღეს. შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამხ. ტიხონოვმა, პოლევოიმ, ეურუგუნმა, კორნეიჩუკმა, ანტოკოლსკიმ და გერასიმოვმა უარი თქვეს სამოლოო სიტყვაზე.

სამოლოო სიტყვები წარმოთქვეს ზ. რიურიკოვმა, კ. სიმონოვმა და ა. სურკოვმა. (საკდესი).

მოსკოვი. საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა.

სურათზე: მწერლები — ყოფილი ფრონტელები, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში ამიერკავკასიის ფრონტის ერთ-ერთ გაზეთში მუშაობდნენ, საუბრობენ კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზის ფოიეში. მარცხნიდან მარჯვნივ — ა. ფ. პოპოვი (ლენინგრადი), ე. ა. ფეიგინი (თბილისი), ხ. პ. ბაბაევსკი (პიატიგორსკი), ვ. პ. მინკო (კიევი), ე. ნ. გორბუნოვა (მოსკოვი), გ. მ. ბორიანი (ერევანი), ვ. ა. ზაკრუტკინი (როსტოვის ოლქი), ი. ე. ნონეშვილი (თბილისი) და ი. ლ. ანდრონიკოვი (მოსკოვი).

ფოტო ვ. ეგოროვისა და ვ. სავოსტიანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახლადარჩეული პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი

ამ დღეებში საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა მოაწყო ახლადარჩეულ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი.

თათბირის მონაწილეთათვის რაიკომის მუშაკებმა წაიკითხეს მოხსენებები პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე.

რუმინეთში გაუქმდა საბაჟოთა სისტემა

ბუქარესტი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1954 წლის 25 დეკემბერს გაიმართა, განიხილა და ერთხმად მოიწონა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბარათებით და ნორმებით მოსახლეობის მომარაგების სისტემის გაუქმების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იმ ამოცანების წარმატებით შესრულების საფუძველზე, რომლებიც 1953 წლის აგვისტოში დასახა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, რუმინეთში შეიქმნა პირობები, რომლებიც საჭიროა საბარათო სისტემიდან გაშლილ ვაჭრობაზე გადასასვლელად.

1953 წელთან შედარებით წელს გადიდდა ნათესი ფართობები, ამაღლდა მოსავლიანობა, გაიზარდა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების მთლიანი მოსავალი. მემინდვრეობის აღმავლობამ, კონტრაქტაციის სისტემამ და სხვა ღონისძიებებმა, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს სოფლის მეურნეობის მუშაობის მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად, კეთილსასურველი გავლენა მოახდინეს მეცხოველეობის განვითარებაზე.

1954 წელს სახელმწიფომ მნიშვნელოვანი საბსრები გამოჰყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორისათვის კაპიტალდაბანდებათა და კრედიტების სახით და მიიღო ღონისძიებანი მზრომელი გლეხების ერთპიროვნულ მეურნეობათა სტიმულირებისათვის.

1954 წელს მიღწეულ იქნა წარმატებანი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებაში. საქონელბრუნვა სოციალისტურ სექტორში შესადარი ფასებით 1952 წლის 15 მილიარდი ლეიდან 1954 წელს გადიდდა 22 მილიარდ ლეიმდე, გადიდდა აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოცულობა, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მუშაკები ბაზარს აწვდიან.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, 1954 წლის 26 დეკემბრიდან გადაიდგან სასურსათო და სამრეწველო საქონლის გაშლილ ვაჭრობაზე ერთიანი სახელმწიფო ფასებით. სახელმწიფო ფასების საერთო დონე წესდება ვაჭრობის სოციალისტურ სექტორში არსებული კომერციული ფასების დონის შესაბამისად. მთელი რიგი საქონლის ფასები შემცირებულია 10, 20 და მეტი პროცენტით. განსხვავების დაწესებულ ერთიან სახელმწიფო ფასებსა და ბარათებით ვაჭრობისას არსებულ ფასებს შორის დაფარავს სახელმწიფო მუშებისათვის, მოსამსახურეებისათვის, პენსიონერებისა და მათი ოჯახების წევრებისათვის ფულადი კომპენსაციის ფორმით. მოსწავლეებსა და სტუდენტებს შესაბამისად გაუდიდდებათ სტიპენდია.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გაშლილ ვაჭრობაზე გადასვლა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში.

სრულიად პოლონეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის დეპეშა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოსადმი

ვარშავა 27 დეკემბერი. (საკდესი). პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის პირველი მუხლის წინააღმდეგ საფრანგეთის ეროვნული კრების კენჭისყრასთან დაკავშირებით სრულიად პოლონეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტმა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნულ საბჭოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ერშემუნებთ ჩვენს ტრადიციულ მეგობრობას და აქტიურ სოლიდარობას მშვიდობისათვის, საფრანგეთისა და პოლონეთის საუკუნეობრივი მტრის — გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დარწმუნებული ვართ, რომ ფრანგ ხალხზე გავლენას ვერ მოახდენს მუქარა და შანტაჟი ამერიკისა და ინგლისის რეაქციული წრეების მხრივ, რომლებიც თავიანთ აგრესიულ გეგმებს უკავშირებენ ევროპის ხალხთა წინააღმდეგ ახალი ომის გაჩაღების იარაღის პიტლერული ვერმახტის აღორძინებას.

მშვიდობისათვის მებრძოლ საფრანგეთს შეუძლია იქონიოს ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხებისა და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალთა აქტიური სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი. მშვიდობისათვის მებრძოლი საფრანგეთი უძლეველია, რადგან იბრძვის საქმისათვის, რომელიც მთელი კაცობრიობის საქმეა.

ნერუს განცხადება ბოგორის მომავალი თათბირის შესახებ

დელი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, სანტინიკეტანში პრეს-კონფერენციაზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა, რომ მიემგზავრება ბოგორში (ინდონეზია) ინდონეზიის, ინდოეთის, ბირმის, პაკისტანისა და ცეილონის მთავრობათა მეთაურების თათბირზე.

ზემოაღნიშნული ქვეყნების პრემიერ-მინისტრების მომავალი თათბირის მიზანია, თქვა ნერუმ, „განიხილოს წინადადება აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის მოწვევის შესახებ“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ ინდონეზიაში გაემგზავრა

დელი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ კალკუტიდან ინდონეზიაში გაფრინდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ინდონეზიის, ინდოეთის, ბირმის, პაკისტანისა და ცეილონის მთავრობათა მეთაურების თათბირში, რომელიც ბოგორში გაიმართება. ნერუს თან ახლავან კრიშნა მენონი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საიედ მაჰმუდი.

დაიხურა სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის სესია

პეკინი, 25 დეკემბერი. (საკდესი). სიმუსას სააგენტო იუწყება:

დღეს სალამის პეკინში დაიხურა სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის სესია.

სუნ ცინ-ლინის წინადადებით მაო ძე-დუნი ერთხმად არჩეულია სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ჯოუ ენ-ლაი.

სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს მოხსენებას პირველი მოწვევის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ჩენ შუ-ტუნმა. მიღებულ იქნა აგრეთვე სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციული სტატუტი და დეკლარაცია.

სესიამ წერილი გაუგზავნა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მეთაურებსა და მებრძოლებს და ჩინელ სახალხო მოხალისეებს თავიანთი სამშობლოს დასაცავად და მშვიდობის დასაცავად მათი გმირობის აღიარების ნიშნად. მისასალმებელი წერილები გაეგზავნათ აგრეთვე სიკან-ტიბეტის გზატკეცილისა და ცინხაი-ტიბეტის გზატკეცილის მშენებლებს. ამ გზატკეცილების მშენებლობა დამთავრებულია.

ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციული სტატუტი

პეკინი, 26 დეკემბერი. (საკდესი). სიმუსას სააგენტო გადმოგვცემს:

ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციული სტატუტი, რომელიც მიღებულია ამ ორგანოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, განსაზღვრავს ერთიანი სახალხო დემოკრატიული ფრონტის ორგანიზაციის ამოცანებსა და ხელმძღვანელ პრინციპებს.

სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ძირითადი ამოცანა, ნათქვამია სტატუტში, ის არის, რომ „ყველა დემოკრატიული პარტიისა და ჯგუფის და სახალხო ორგანიზაციების ერთიანობის საფუძველზე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უფრო მჭიდროდ დარაზმოს ჩინეთის ყველა ეროვნება, მიიღოს ერთობლივი ღონისძიებანი და გადაჭრას სიძნელენი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში“.

სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციული სტატუტი მიღებულ იქნა ამასთან დაკავშირებით, რომ სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა შეცვლილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციით და სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო აღარ ასრულებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლთა კრების ფუნქციებსა და რწმუნებებს, კრებისა, რომლის სესია ამა წლის სექტემბერში გაიმართა.

სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო ერთიანი სახალხო დემოკრატიული ფრონტის ორგანიზაციაა, რომელიც ერთიანებს ყველა ეროვნებას, დემოკრატიულ კლასებს, დემოკრატიულ პარტიებსა და ჯგუფებს, სახალხო ორგანიზაციებს, ჩინელ ემიგრანტებსა და სხვა დემოკრატ პატრიოტებს. სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო თავისი ხასიათით განირჩევა როგორც სახელმწიფო ორგანოსაგან, ასე ჩვეულებრივი სახალხო ორგანიზაციებისაგანაც, — ეს არის პარტიებისა და ჯგუფების ერთიანი სახალხო დემოკრატიული ფრონტი.

ხელმძღვანელი პრინციპები, რომელსაც განსაზღვრავს ორგანიზაციული სტატუტი სახალხო პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოში შემავალი წევრებისა და ორგანიზაციებისათვის, შემდეგია:

1. მხარი დაუჭიროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციას და მიიღოს ყველა ღონისძიება მისი განხორციელებისათვის.

2. განამტკიცოს სახალხო-დემოკრატიული წყობილება, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და რომელიც ემყარება მუშათა და გლეხთა კავშირს; განამტკიცოს სოციალისტური სექტორის წამყვანი მდგომარეობა სახალხო მეურნეობაში.

3. დახმარება გაუწიოს სახელმწიფო ორგანიზაციებს და აამოძრაოს საზოგადოებრივი ძალები სახელმწიფო მშენებლობის გეგმის განხორციელებისათვის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური გარდაქმნათა მიზნით.

4. განამტკიცოს მჭიდრო კავშირი მასებთან, გამოხატოს მათი აზრი და შეიტანოს წინადადებანი სახელმწიფო ორგანოებში.

5. განამტკიცოს ჩინეთის ყველა ეროვნების ერთიანობა, განავითაროს პატრიოტიზმი, გააძლეროს რევოლუციური სიფხიზლე, დაიცვას ეროვნული მშენებლობა და იბრძოლოს შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ.

6. განამტკიცოს და განავითაროს ჩინეთის ურღვევი მეგობრობა სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, ხელი შეუწყოს ჩინეთის მეგობრობას ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან, განამტკიცოს ჩინეთის მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებთან, იბრძოლოს აგრესიის წინააღმდეგ, დაიცვას მთელი მსოფლიოს მშვიდობა და მხარი დაუჭიროს კაცობრიობის სამართლიან საქმეს.

სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციული სტატუტი განსაზღვრავს, რომ სრულიად ჩინეთის კომიტეტი კონსულტაციას უწევს ჩინეთისა და ერთიანი სახალხო დემოკრატიული ფრონტის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე. სრულიად ჩინეთის კომიტეტს აქვს ბიური, რომელშიც შედიან სრულიად ჩინეთის კომიტეტის წევრები, თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილენი და გენერალური მდივანი. სრულიად ჩინეთის კომიტეტის პლენარულ სესიას წელიწადში ერთხელ იწვევს ბიური.

სრულიად ჩინეთის კომიტეტის წევრები არიან წარმომადგენლები, რომლებსაც ნიშნავენ სხვადასხვა დემოკრატიული პარტიები და ჯგუფები და სახალხო ორგანიზაციები, ან ცალკეული მოწვეული პირები. ეროვნულ უმცირესობებს და ჩინელ ემიგრანტებსაც ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები სრულიად ჩინეთის კომიტეტში. მათი წარმომადგენლობის საკითხს ბიური წყვეტს კონსულტაციის გზით. სრულიად ჩინეთის კომიტეტს ირჩევენ ოთხი წლით.

პროვინციებში, ავტონომიურ რაიონებსა და მუნიციპალიტეტებში იქნება სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ადგილობრივი კომიტეტები.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ

ფრანგი პატრიოტები ბრძოლას განაგრძობენ

პარიზი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ფრანგი ხალხი დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ცნობას, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხმის უმრავლესობით უარყო პირველი მუხლი კანონპროექტისა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ. ამის დასადასტურებლად, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წინააღმდეგნენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, გუშინ ღვრო საწარმოს მუშრომლებმა ხანმოკლე გაფიცვა გამოაცხადეს. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, მუშაობა შეწყვიტეს ქალაქ ლილის ქარხანა „ფივ-ლილის“ 3.500 მუშამ და მოსამსახურემ, გარის დეპარტამენტის ქვანახშირის შახტების მაღაროელებმა, ქალაქ ტარბის ზემო პირენეის დეპარტამენტი) ქარხანა „ალსტომის“ მუშებმა და ბევრი სხვა საწარმოს მშრომელებმა.

მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ ფრანგ ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პარიზის შეთანხმებათა უარყოფა საშუალებას მისცემს საფრანგეთს შეინარჩუნოს თავისი კავშირი სხვა ქვეყნებთან და განმსაზღვრელი როლი შეასრულოს ევროპაში. მშვიდობის ეროვნული საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკიდან ახალი წარმატებანი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში დამოკიდებულია ფრანგების ენერგიულ მოქმედებაზე. „საზოგადოებრივ აზრს,— ნათქვამია მოწოდებაში, — რომელიც განუწყვეტლივ სულ სხვადასხვა ფორმით ადასტურებდა თავის მტრულ დამოკიდებულებას გერმანიის შეიარაღებისადმი, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ეროვნულმა კრებამ დაადასტუროს თავისი 24 დეკემბრის კენჭისყრა“.

დღეს დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნდა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიუროს კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

„შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურო ულოცავს შრომელებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროტესტის სახალხო და ეროვნულ კამპანიაში ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ. ვერავითარი სიცრუით და ვერავითარი თვალთმაქცური დეკლარაციებით, რომელთა მიზანი იყო დაემალათ სეროზული საფრთხე, რასაც გერმანელი მილიტარისტების შეიარაღება შეუქმნიდა მშობლიურ საფრანგეთს, ვერ მიაძინებს მშრომელთა სიფხიზლე. ხალხს ამ პროტესტმა უკვე მოგვცა პირველი შედეგები: მთავრობამ ვერ მიაღწია შეთანხმებათა სწრაფ რატიფიკაციას, რის იმედიც ჰქონდა.

მაგრამ საფრთხე კვლავ არსებობს. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს და მიმართავს მანევრებს, რათა მიაღწიოს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას. განიცადა რა მარცხი, იგი ცდილობს აიძულოს ეროვნული კრება უარი თქვას თავის პირველ გადაწყვეტილებაზე. სწორედ ამ მიზნით დასვა მან ნდობის საკითხი“.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურომ მოუწოდა ყველა მშრომელსა და ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას გააძლეროს ბრძოლა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების გეგმების წინააღმდეგ, გაუგზავნონ დელეგაციები დეპუტატებს, მოაწყონ მიტინგები, კრებები და ხანმოკლე გაფიცვები.

გერმანელი მილიტარისტების შეიარაღება, ნათქვამია კომუნიკეში, შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას. მშვიდობისადმი საფრთხე, რასაც ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი ქმნიან, შეიძლება აღიკვეთოს.

მუშათა კლასს, თუ იგი გააერთიანებს თავის ძალებს, შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს მშვიდობის ძალთა გამარჯვების უზრუნველყოფაში და ამით დასაბოს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელების გზა საყოველთაო უშიშროებისა და განიარაღების უზრუნველყოფის შესახებ მოლაპარაკების მოწყობით.

გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ სენის დეპარტამენტის გენერალურ საბჭოში დამარცხდნენ გერმანიის შეიარაღების მომხრენი. საბჭოს გუშინდელ სხდომაზე გენერალურ მრჩეველთა ჯგუფმა მოითხოვა სასწრაფოდ წესით გაეხილათ მისი წინადადება, რათა ეროვნულმა კრებამ „მომავლად შექმნილ ვითარებაში“ არ დაამტკიცოს შეთანხმებანი გერმანიის არმიის აღდგენის შესახებ.

სენის დეპარტამენტის პრეფექტმა გამოიყენა პროცედურის მანევრი და შეეცადა არ დაეშვა ამ წინადადების განხილვა. მაგრამ პრეფექტის წინადადება უარყვეს 52 ხმით ერთის წინააღმდეგ. ორმა თავი შეიკავა.

ამერიკელი კონგრესმენის თავხედური განცხადება

სტამბოლი, 25 დეკემბერი. (საკდესი). სტამბოლში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრი სამუელ ირტი, რომელიც მოგზაურობს შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რათა გაეცნოს იმას, თუ როგორ იყენებენ იქ ამერიკის სამხედრო „დახმარებას“.

ირტიმ გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ კორესპონდენტს გაუცხადა განცხადება, რომლიდანაც ჩანს, რომ ამერიკელებს განსაკუთრებით ინტერესებთ არაბთა ქვეყნებში „წესრიგის“ დამყარების საკითხი. სხვა სიტყვით, რომ ვთქვათ, მთელი იმ ეროვნულ-პატრიოტული ძალების ჩახშობის საკითხი, რომლებიც ხელს უშლიან ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმების განხორციელებას ამ რაიონში.

„ვიდრე დავიწყებდეთ შუა აღმოსავლეთის ბლოკის შექმნას, — ცინიკურად განაცხადა ირტიმ, — საჭიროა წესრიგზე მოვიყვანოთ საშინაო საქმეები ამ რაიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა. არაბთა სამყაროში ჯერ კიდევ არ არსებობს მტკიცედ დამყარებული წესრიგი“.

დაიხურა საბჭოთა გამოფენა პეკინში

პეკინი, 27 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პეკინში დაიხურა სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევათა გამოფენა, რომელიც თითქმის სამ თვეს იყო გახსნილი. ყოველდღიურად, დაწყებული 2 ოქტომბრიდან, სსრკ-ის გამოფენის მრავალ დარბაზსა და მოედანს, რომლებზეც მოთავსებულია 10 ათასზე მეტი ექსპონატი, ათვალიერებდა ათიოდ ათასობით ჩინელი მშრომელი.

ჩარხების, მექანიზმების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სანახავად, რომლებსაც უშენებს მძლავრი საბჭოთა ინდუსტრია, სსრ კავშირის მუშტუკი მრეწველობის ნაწარმის, აგრეთვე გამოფენაზე წარმოდგენილ საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა სანახავად მოდიოდნენ პეკინის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის სკოლების მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. გამოფენა დაათვალიერა აგრეთვე მუშებისა და გლეხების რამდენიმე ასეულმა ათასმა დელეგატმა, რომლებიც პეკინს ჩამოვიდნენ ტიანძინიდან, მუკდენიდან, ანშანიდან, ტაიუანიდან, უხანიდან, შორეული სინძიანიდან და შიდა მონღოლეთის ავტონომიური რაიონიდან, სიჩუანიდან და ცინხაიდან, — დიდი ჩინეთის ყველა კუთხიდან.

გამოფენა დაათვალიერეს ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის ხელმძღვანელებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მეთაურობით. სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევათა გამოფენის ექსპონატები 3 მილიონამდე კაცმა დაათვალიერა.

პეკინში საბჭოთა გამოფენის დახურვასთან დაკავშირებით გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ მოწონებით წერს:

საბჭოთა გამოფენის უდიდესი პოპულარობა იმის მკაფიო დამადასტურებელია, რომ ჩინელი ხალხი მხურვალედ ისწრაფვის ისწავლოს საბჭოთა კავშირისაგან და აშენოს სოციალიზმი. გამოფენის სამი თვის მუშაობის ნაყოფი ჭეშმარიტად დიდია.

საბჭოთა გამოფენაზე ჩინელმა მშრომელებმა თვალსათლივ ნახეს უდიდესი წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა თავის გმირულ ბრძოლაში კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელობით. გამოფენა წამდვილი უნივერსიტეტი იყო ჩინელი სპეციალისტებისათვის.

ჩინელი ხალხის საჩუქრები ვიეტნამელი ხალხისადმი

პეკინი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო კორესპონდენტი ხანოიდან იუწყება, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ორგანო გაზეთი „ნიან დანი“ წერს, რომ ჩინელ მშრომელთა საჩუქარი ვიეტნამელი ხალხისადმი — 10 ათასი ტონა ბრინჯი და 5 მილიონი მეტრი ბამბის ქსოვილები — ჩინელი ხალხისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გულწრფელი და უანგარო დახმარებაა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „დახმარების“ მარკით ახორციელებენ აგრესიას კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების წინააღმდეგ. ამის საწინააღმდეგოდ, წერს გაზეთი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ძმური დახმარებას უწევენ ერთმანეთს და გამსჭვალული არიან ურთიერთისადმი პატივისცემითა და სიყვარულით.

ხანოის სხვა გაზეთებიც დიდი ყურადღება მიაქციეს ცნობას ამ საჩუქრების შესახებ, რომლებიც ჩინელმა ხალხმა ვიეტნამელ ხალხს უძღვნა.

ბუღგარელი ხალხი პატივს სცემს ბუღგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ხსოვნას

სოფია, 26 დეკემბერი. (საკდესი). სტალინის სახელობის ბორცვზე, რომელიც ქალაქ პლოვდივს დასცქერის, დაიწყო საბჭოთა არმიის იმ მეომართა ძეგლის მშენებლობა, რომელნიც დაიღუპნენ ფაშისტური მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ძეგლის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის თვალსაჩინო მოქანდაკეები, არქიტექტორები და მხატვრები. ძეგლს ააგებენ გრანიტის, მარმარილოსა და ბრინჯაოსაგან.

ახალგაზრდა სპეციალისტებს — მრეწველობას

რესპუბლიკაში არსებულ 19 სახელოსნო სასწავლებელში წელს ხარატის, ზეინკლის, ელმავლისა და ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწის, ელმავლის შემკეთებლის, ელექტრომონტიორის პროფესიებს, აგრეთვე მეტალურგიულ საქმეს — მგლინავობას და მექრძმედობას მრავალი ახალგაზრდა ეუფლება. ამ უკანასკნელ ხანს თბილისის, რუსთავის, ჭიათურის, ჰიათურის და სხვა საფაბრიკო-სამრეწველო სკოლებში მიღებულია ბევრი ახალგაზრდა. ისინი სწავლობენ დურგლობას, კალატოზობას, მეღესობას. ხოლო ტყიბულის, ტყვარჩელის და ახალციხის სამთო-სამრეწველო სკოლებში ამჟამად მზადდება მომავალი მეშახტეები.

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველომ თბილისში წელს გახსნა ტექნიკური სასწავლებელი, სადაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 200 ახალგაზრდა ეუფლება ახალ საწარმოო ტექნიკას. სასწავლებელი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მუშებს მანქანათმშენებლობის დარგში — ხარატებს, მღარავებს, ზეინკლებს, ტექნიკურ კონტროლიორებს და სხვ.

მესამე კვარტალში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სახელოსნო-სამხატვრო სასწავლებელმა მოიპოვა მეორე საკავშირო ადგილი და პრემია, ხოლო თბილისის მეხუთე სპეციალურმა სახელოსნო სასწავლებელმა — ჭების სიგელი.

მომავალ ახალგაზრდა სპეციალისტებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა პროფესიის დაუფლებისათვის, სწავლისა და დასვენებისათვის. სახელოსნო სასწავლებლებში არის კარგად მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები, კაბინეტები, ნორჩი ტექნიკოსის ოთახები, ლაბორატორიები, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სასპორტო დარბაზები.

სურათზე: თბილისის მეხუთე სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები თავისუფალ დროს თავიანთ კლუბში უსმენენ მუსიკას. როიალთან არის მოსწავლე მ. ოიბიძე.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

23 დეკემბერს მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა სეზონის მორიგ ახალ სპექტაკლად მაყურებელს უჩვენა ა. გომიაშვილის პიესა „ეს მოხდა მოსკოვში“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ კ. სურმავას, მუსიკა— კომპოზიტორ ტ. ბაქრაძეს, მხატვრული გაფორმება შ. ეორეოლაძეს. როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. დარისპანაშვილი, ნ. სირბილაძე, მსახიობები მ. ჯაჯანაშვილი, ე. ჩაჩავა, ნ. ხორავა, ც. ქიტაიშვილი, ლ. ფერაძე და სხვ.

თეატრი ამ დღეებში მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენებს ა. აღლაძის პიესას „ანდროს ოცნება“. პიესას დგამს ახალგაზრდა რეჟისორი გ. პატარაია.

ნაძვის ხეები

გუშინ თბილისში დაიწყო საახალწლო ნაძვის ხეების გაყიდვა. ნაძვის ხეებით ვაჭრობა წარმოებს დედაქალაქის სხვადასხვა ადგილში — გმირთა მოედანთან, ლენინის, მარჯანიშვილის, შაუმიანის, საკოლმეურნეო მოედნებთან, აგრეთვე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობასთან, უნივერსიტეტის ქუჩაზე, სულ 15 ადგილას.

თბილხილბოსტანვაჭრობამ უკვე შემოზიდა 13.000 ნაძვის ხე.

საახალწლო ვაჭრობა

იწყება საახალწლო ვაჭრობა. როგორც ყოველთვის, სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიებში დიდი გამოცოცხლებაა.

თბილხილბოსტანვაჭრობა თბილისის მოსახლეობისათვის ამ დღეებში თავის 25 მაღაზიასა და 4 ფარდულში გამოიტანს 50.000 ჭილა ბოსტნეულის კონსერვს, 50 ტონა ხილფაფას, ჯემსა და მურაბას, ათეულ ტონობით ვაშლს, კომბოსტოს წვნილს, ტომატისა და ტყემლის საწებელს, აგრეთვე 15 ტონა ფორთოხალს, 50.000 ცალ ლიმონს, 40 ტონა თაფლს.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 29 და 30 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის სუსტი, ზოგიერე რაიონის ხეობაში ზოგიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 12-17 გრადუსი სითბოთ; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა; აღმოსავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ მცირე ნალექი, დასავლეთ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბოთ; მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

29 დეკემბერს
ლ. დელიბი—ლაკმე

30 დეკემბერს
ა. ბალანჩივაძე—მთების გული

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

28, 29, 30 და 31 დეკემბერს
რსფსრ დამსახურებული არტისტის
ირინა ბუგრიმოვას
გასტროლები
და დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად
ახლად ჩამოსული არტისტების, საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატების მონაწილეობით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

მუზარდის სასწავლო საცდელ საბჭოთა მეურნეობას ესაჭიროება
ტრაქტორისტები და მუშები მებაღეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეფრინდრეობისა და მეცხოველეობის დარგებში სამუშაოდ.
მუშებს ხელფასი მიეცემათ სანარდო სისტემით, უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართობით, კომუნალური მომსახურებით, აგრეთვე მიეცემათ მიწის ნაკვეთი.
მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი მუხრანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით ერთნაბევარ განაკვეთზე.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და თან დაურთონ შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელ ადგილიდან და მეცნიერული ნაშრომების სია.
კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა. ინსტიტუტის მისამართი — თბილისი, მახარაძის ქ. № 14.

დისერტაციის დაცვა
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (ბელაქიშვ